სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №355

12 დეკემბერი 2018 წელი

თბილისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს'“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ჭიღვარიას სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, წერილი №15070-01 12.12.18წ).

მეორეს მხრივ შპს „ენ ლაინ მედია“, მისი დირექტორის მაია ქუსიკაშვილის სახით (იურ. მის: ქ. თბილისი, ი. პეტრიწის ქუჩა, I კორპუსის მიმდებარედ, ბ. N31; ფაქტ. მის: ქ.თბილისი, ვ. დოლიძის ქ. #21) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. კვარტალურ საბორტო ჟურნალში Road & Travel Magazine #2 (შემდგომში „პერიოდული გამოცემა“) „შემსყიდველის“ მიერ მიწოდებული სარეკლამო მასალის განთავსდება 2-გვერდიან გაშლაზე, ზომებით 420 მმ (სიგანე) X 297 მმ (სიმაღლე), ფერადი ბეჭდვით. („მიმწოდებელი“ ჟურნალის 2 (ორი) ეგზემპლარს გადასცემს „შემსყიდველს“).

1.2 კლასიფიკატორის კოდი –79300000

მუხლი 2. განცხადებები და გარანტიები

2.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

2.1.1. „მიმწოდებელი“ წარმოადგენს კვარტალური საბორტო ჟურნალის **Road & Travel Magazine**-ს მომზადებასა და გამოცემაზე უფლებამოსილ პირს და მას გააჩინა აღნიშნული გამოცემისათვის აუცილებელი ყველა უფლება და ამასთანავე, არ არსებობს ჟურნალის გამოცემის დამაბრკოლებელი რაიმე გარემოება.

2.1.2. „შემსყიდველი“ აცხადებს, რომ მისი მხრიდან რეკლამის მიზანია მისი მომსახურების და პროდუქციის რეკლამირება და რომ მას აკმაყოფილებს „მიმწოდებელის“ მიერ შემოთავაზებული პირობები.

2.1.3. მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება იკისრონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

2.1.4. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა შესაბამისი წესით მხარეების (მათი წარმომადგენლების) მიერ და წარმოადგენს მხარეებისთვის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადაა 2018 წლის 25 დეკემბერის ჩათვლით და ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი

4.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მომსახურების ღირებულება განისაზღვრება პერიოდულ გამოცემაში „შემსყიდველის“ მიერ მითითებული რეკლამის განთავსებისათვის 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარით (შემდეგში მომსახურების ღირებულება).

4.2. მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარშსწორების სახით, ლარებში.

4.3 პერიოდული გამოცემის გამოსვლის შემდგომ სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც დაადასტურებენ მხარეთა უფლებამოსილი პირები ხელმოწერით და ბეჭდით.

4.4. მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. „მიმწოდებელის“ უფლება-მოვალეობები:

5.1.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში არ გაზარდოს მომსახურების საფასური.

5.1.2. „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გავრცელების დროს, ადგილს ან საშუალებას.

5.1.3. „მიმწოდებელს“უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მომსახურების ფასის დროულად გადახდა.

5.1.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეინახოს სარეკლამო მასალა ან მათი ასლები, მათში შემდგომში შეტანილი ყველა ცვლილებებით, რეკლამის უკანასკნელად გავრცელების დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, ხოლო თუ სარეკლამო მასალა სადავო გახდა - შესაბამისი ორგანოების მიერ ამ დავის გადაწყვეტამდე.

5.1.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა.

5.2. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობები

5.2.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფასი დათქმულ ვადაში.

5.2.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს გასავრცელებელი რეკლამა „მიმწოდებელს“, რომელიც უნდა პასუხობდეს ამ ხელშეკრულების მოთხოვნებს:

- „შემსყიდველი“ მიერ მიწოდებული ფაილი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სარეკლამო მასალის ზომებს;
- ფაილი უნდა იყოს მომზადებული (HIGH DEFINITION PDF, ADOBE PHOTOSHOP, TIFF, ILLUSTRATION, INDESIGN) ფორმატებიდან ერთერთში;
- შრიფტები უნდა იყოს გადაყვანილი “წირებში” ან მოწოდებული ფაილის სახით (TIFF, PDF, PS FONT)
- რასტრული უნდა იყოს არანაკლებ 300 დპი გარჩევადობის.

ზემოთ აღნიშნული ტექნიკური მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსრულებელი“ არ აგებს პასუხს სარეკლამო მასალის ბეჭდვის ხარისხზე.

5.2.3. „მიმწოდებელის“ წერილობითი თანხმობის გარეშე „შემსყიდველს“ უფლება არა აქვს თავისი უფლება-მოვალეობები გადასცეს მესამე პირს და მოითხოვოს სხვა ფირმის რეკლამის გავრცელება.

5.2.4. „შემსყიდველი“ პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის წარდგენილი რეკლამის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევა მოხდა მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით.

5.2.5. „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოითხოვოს ხარისხიანი რეკლამის გავრცელება და ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების, მათ შორის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2 % ოდენობით.

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ეს ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

7.2. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებაში მითითებული ვადის ამოწურვამდე.

8.2. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეების მიერ.

8.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

8.4. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის არსებულ სრულ შეთანხმებასა და მორიგებას.

8.5. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა არ იქონიებს გავლენას მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა მოვალეობების შესრულებაზე.

8.6. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში რომელიმე დებულება კანონის საფუძველზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, ამგვარი ძალადაკარგულობა გავლენას არ იქონიებს ამ ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი დებულების იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე.

8.7. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება და კომუნიკაცია უნდა მოხდეს წერილობით. წერილობით შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნეს შესაბამის მხარესთან ფოსტით და ადრესატს უნდა ჩაბარდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ხოლო ელექტრონული წერილის გაგზავნის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია **ს/კოდი: 212 721 170** მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3 მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“ ბ/კოდი: TRESGE22 ა/ა 300 180 000 **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის** **მერი** **გიორგი ჭიღვარია**	**შპს „ენ ლაინ მედია“** **ს/კ: 405 261 005** ფაქტ. მის: ვ. დოლიძის ქ. #21 ტელ: 555 18 24 84 E-mail: nlinemedia@gmail.com ბანკი: „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ნ: GE91BG0000000100816607 **დირექტორი:** **მაია ქუსიკაშვილი**